

კვირა, 1 ოქტომბერი 1917 წ.

სიდაზნის აღრიცხვა:  
თფილის, თლილ ქუჩა, № 6.

— ვას ი 25 კვპ. —

# კვირა

№ 40

1917



- კაცო, მთელი ქვეყანა ექლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებაზე ფიქრობს და თქვენ  
ახლა ძღვინეთ აეტოკეფალია?
- რასაკირველია. მაში რომ არ აღვვედინა, რო უნდა ჩამოვეშორებია სიხლ მწიფოდან?

# მსხვილი გამარი

ჩემის აზრით, შემცდარი ის შეხედულობა, ოთქო მსხვილი ვაჭარი, უთუოდ მსხვილი იყოს, როდესაც კარიკატურისტები მსხვილ ვაჭრებს გამძრილებას ხატავენ, ამით ერთვები პროპორციის აღდგნა სურთ და ამ კეთილი სურვილით მკითხველნი შეცდომაში შეჭყად.

თფილისის მილიციის უფროსმა, იგანე კარუხოვა, სავსეპით დამტკიცა და დასაბუთა ჩემი შეხელულება მსხვილ ვაჭართა შესახებ. მან შეიმუშავა ფრიად საგულისხმო ფრამულა:

— მსხვილი ვაჭარი პირდაპირ პროპორციონალურია თავისი საგაჭროსი. —

ეს დებულება თქვენთვის უფრო გასაგები მაშინ იქნება, როცა გაითვალისწინებთ თვით საგაჭროს ფრამულას.

— სავჭრო დაწესებულება მსხვილ ვაჭართა ჭვემთ სავსე, ზემოდან ცარიელი.

ამგვარად, ყოველი მსხვილი ვაჭარი ცოცხალი, მოარული კონია მისი სავჭრო დაწესებულებისა: ჭვემთ სავსე, ზემოდან ცარიელი. —

თქვენ მოკეთებენათ, მოწყალენ ხელმწიფენო, რომ სავაჭრო დაწესებულება მსხვილ ვაჭართა ორი: ზემო და ქვემო სართულისაგან შესდგება. ზემო სართულს მაღაზია ეწოდება; ქვემოს კი საწყობი. უმეტეს შემთხვევაში ეს ორი განყოფილება ერთსა და იმავ შენობაშია, ხშირად კი სხვ და სხვა ალაგასაც ეს უკანასკნელი უფრო ძირია, მაგრამ უფრო სასარგებლოც.

როდესაც საქონლის ფასი აიშვეს, მაშინ საქონელიც ზევით აიწევს და საწყობიდან მაღაზიაში ამოვა.

როდესაც ფასი დაიწევს, საქონელიც მაღაზიდან დაბლა დაიწევს და საწყობში გადიბარება.

დღეს დღეობით ეს კონი „ასელა ჩამოსვლისა“ თვალსაჩინოთ დაირღვა. მიუხედავათ საქონელზე ფასების აწევის, იგი მაინც ზედა სართულიდან ჭვედაში გადაბარებდა. ეს გარემოება ერთობ ეუცხოვა სხვათა შორის მილიციის უფროსაც და განიზრახა საკითხის გამორკვევა. ამ მიზნით მან ჩა-

მოიარა. ზოგიერთი მსხვილი საფაქროები და აი რა გამოირკვა:

საგაჭრო ჩილინგვაროვისა. მაღაზია, (ანუ ზედა სართული) ცარიელია. საწყობი, (ანუ ქვედა სართული) სავსეა. იქ აწყვია ჩითეულობა 150000 მანეთისა. 6 დღიდ შეკრა, გასაგზავნათ დამზადებული (ფას დაუდები), აგრეთვე ბამბის ნაქსოვი 260000 მანეთისა.

დღეს, როდესაც ჩითეულობის ფასი ეგზომი აწყულია, საქონლის მაღაზიიდან საწყობში გადატანა გაუგებარი იქნებოდა, თუ რომ მაღაზიის გამგეს თავისი საგულისხმო განმარტება არ მიეცა კომისარისათვის. აი ის განმარტებაც:

— ჩვენ არა ვყიდით ჩითეულობას იმიტომ, რომ ხშირად მოღიან სალდათის ფორმაში გადამული ჩარჩები და თხოულობენ დიდად საქონელს. თუ მათ უბრა ვუთხსრით, მაშინ პოგრძმის მოახდენენ, ხოლო თუ მივეცით, მაშინვე ჩვენ თვალ წინ გაპირიან სამწილ ფასად.

— ეს განმარტება იმ ზომ მოსწონებია ბ-5 კომისარს, რომ ცალკე ჩიუწერია ოქში, რათა მომავალ თაობას არ დაეკარგოს მისი სიბრძნე.

იმავ ჩილინგვაროვის საფართლო სავაჭროს ქვედა სართულში აღმოჩენილა 59 წყვილი კალოში და 21500 ცალი პაპიროსი. კალოშები მას აღმართ თავისი ოჯახობისათვის სპიროდა, მაგრამ პაპიროსების დანიშნულება ჯერაც გამოუჩეველია.

ჩვენ დღეს დღეობით დავკამყოფილდებით ამ ერთი მაგალითით. თფილისში ბეგრძა იცის, ვინაიდან ამისათვის გეოლოგობა არ არის საჭირო, რომ ჩვენი ქალაქი გაშენებულია არა თიხნარ ნიადაგზე, როგორც ეს ზოგიერთებს ჰერინიათ, არამედ ბაზეულ, ზალეულ, და სურსათეულ ნიადაგზე. მილიციის უფროსი ენტრეიის მიეცილა ამ ნიადაგის გამოკვლევის საკითხს, მაგრამ მუშაობა მოულოდნელათ შეაჩერებინეს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საქმე დაგვირგვინდება და თფილისელ მსხვილ ვაჭართა სავაჭრო დაკურგავს მათ პატრიათა მსგავსებას, ე. ი. გახდება ზემოდან სავსე, ქვემოთ კი ცარიელი.

ეშმაკი.

# „შეპრეკილის“ ლექსები.

(საქუთაისო)

1

ოუ ჩელა, სიჩერელა  
ოდელია ია-უა,  
(ლოტბარობა და ლოლუა!!)  
მომღერლების გუნდი „ხროი“,  
(რა ცუდია ჩვენი დროი.)  
სიმღერები მარგალური  
ვერ აიტანს სმენს ყური.  
მარგალია კოჩი ძუკუ  
მას ქორთული „ვარ ვა უკუ“.  
ქუთაისი იმერული,  
კონცერტი კი მარგალული...  
კონცერტი და რა კონცერტი  
საუცხვო, ჯგირი, ჯგირი,  
მომხიბვლელი გასაკვირი!  
(კასრაძე და მისი ვირი)  
იმედაშვილის შექება,  
(არ გეგონოთ თქვენ ხუმრობა)  
იმედაშვილის ვინ არ იცნობს.  
„ქრიტიკოსს და ლიტერატორს“  
პოეტების მედიპლომებს  
„შესანიშნავ აგიტატორს“...  
ხო და მისი ქება, ხოტბა  
ეს დიდ რამე ჯილდოს უდრის  
(რო თქვას კაცხა კიტრათ კი ლირს!)

(რა ცუდია თაგი რო გიქრის!)  
წვერი გძელი,  
ჰქუა თხელი,  
თავი შჩატე — ცალიერი  
ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი  
რა კარგია მწევადათ მწყერი!..

2

ლალე, ლალე თარალალე  
(ლობაზ ქალებს ფრაცვალე)  
რა კარგია ქუთაისი,  
(ფით სთქვას ენამ ფასი მისი.)  
რა ქალები, რა ქალები!  
ლმდროთ ჩემო რა ლამაზი,  
ლოყა ლალი, ტურფა-ნაზი.

ბაღი, ქუჩა, სეირნობა,  
ხვინტრიცობა, არშიყობა.  
„შეთათური“ ეფალრობა,  
პირზე პულრი შეფრქვეული,  
(ბაღში ღამე გათეული.)  
შემდეგ სახე გამოცვლილი,  
თან მუცელი წამიზრდილი.  
ცრემლის ფრქვევა, ვაი-ვაში  
დედის წყევა, მამის შიში.  
„აკუშერება“ და ბებია,  
აფთიაქი და წამალი,  
(პერი, ბიჭო, არალალი  
ქალებს დაუდგება თვალი,  
არც ერთია იქ მართალი).

3

ნანა, ნანა, ნანი ნანა,  
(რა ქრელია, ეს შევანა)  
რა არ ხდება, რა არ ნახო,  
(სისაცილო, სავაგლახო)  
ქუთაისი ცნობილია  
მოქეიფე ავარებით,  
(სავსე არის სულ მთვრალებით.)  
გრიგოლ ლალი  
ლალათ ქშინაცე,  
ცხენს აჭენებს, ეტლით ფრანაც.  
როს გადაპკრიცს კახურ ღვინოს,  
მაშინ უნდა იბრიგინოს.  
ვაჟა-ცია მოყვანილი,  
ვის გინდ არ შეედრება,  
(რო შეხელო, სწორეთ ზეგნის  
ლიდი ვინმე გეგონება...)  
ბელადია ფელერალთა  
საქეს სხადის სასახელოს,  
(რაღა უჭირს საქართველოს!)

4

დელი, დელი, დელი, დელი,  
(გეიხუქა შენი მღვდელი)  
უპრავაში გიახელი,  
გნახო ილო\*) ცრემლებს ღვრილა,  
ჯაფარიძე სხდომას ხსნილა,  
ფელერალისტები თრთოდენ,

\*) იგულისხმება ქოვილი თაგი აღდა  
ჩიქოვანი.

ყველაფერზე, ყველაფერში  
მხოლოდ პროტესტს აცხადებდენ.  
„კლაკიორინი“ ტაში უკავდენ,  
ამხანაგებს ბანს ურთავდენ...  
„რეჩით“ ქერი ზანზარებდა,  
და „ილო“ კი მოწყენილი  
კუთხეს იჯდა მობუზული.  
ვინ იცის თუ რას ფიქრობდა,  
ვის სწყელიდა, რას ნანობდა,  
ჩაუარა „ღვაწლია“ უქმათ.  
(ეჭ, „რეჩიბო“, ეჭ, „რეჩიბო“  
და გულ ცივო „ესდეკბო“)  
რათ არ იცით ფისა შრომის,  
(მებრალები მაგრამ რა ვქნა  
ილო ენა გაშოქნილო).

## 5

ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი  
(წაწყდა ბერი, სულის მტერი  
რათ არ შეიბრალეთ ილო,  
რა კარგია თბილი კვერი)  
რა ცულია შიმშილობა  
ხორცი — ჭირი, პური შავი,  
(ოჭ, ვაგიხმათ ვაჭრებს თავი)  
ბორცი; ხარჩო — ბურიანი,  
ღვანო — ძმირი, შხამიანი...  
ცარცვა გლეჯა, წყევა-ლლეტა  
(ეჭ, რა ხდება, ვაი დედა.)  
სიცრუე და მოტვილება  
ყველგან მყვლეფელების „ხროი“  
(რა ძნელია გადატანა)  
რა ცულია ჩვენი დროი...  
„შეპრეზტილი“.

მოხსენება დიდ ეშვაგს

დაწ-თხონე ადან.

თანახმათ ოქვენი ბრძანებისა, დიდო ეშვაკო,  
შეუდექი თითონების რევიზის. ქ. ოელავიდან დიდა  
აღრიან გავეტებავრე, თან მიახლი მოელი ლაშერი  
ალკაჯების, ჭინკებისა და ჯოჯიხების ბნელი ძა-  
ლებისა. — ჩვენი ავტომობილები ერთი შეორეს მის-

დევდა... მთელი ჩემი რაზმი სამხრედრო დიქტატუ-  
რის ხსიათზე იყო, გზა და გზა შეტაკება და სრო-  
ლი გექონდა.

სოფ. ახმეტაში სოლო შეგვეგბა პურ-შემ-  
ლით., მას ჩეაქცია მისდიოდა ეგონა და სიხა-  
რულმა აირაცა... „დაკლადი“ გაგვიკეთა „ქალე-  
ბის აჯანყების“ შესახებ,

თიონეთიდან სამ ვერსზე კოლა შემოგვევება.  
შან მოწიწებით შოიხადა „ანგლისკი“ ქუდი და მო-  
ხსენება გამიკეთა ქალთა შეტაკების გამო. მოვი-  
სმინე რა მოხსენება, საჩაროო გავეცი ბრძანება,  
თუჯის ჯვარით იქნას დაჯილდოვებული კატო გო-  
ჯიევი, როგორც კარგი მოჭიდავე. ეგვა დოლიაშვი-  
ლი და ივლირა გოჯიაშვილი, ვითარცა მებრძოლ-  
ნი, ვილგელმის ყაიდაზე რკინის ჯვრებით დავისა-  
ჩუქრე... აგრეთვე ვბრძანე: აიკრძალოს იორის პი-  
რათ ქოლებებით ჩხუბი, ხოლო სამივე მებრძოლი  
გაგზავნილ იქნას დასავლების ფრონტზე.

მდინარე იორი წყნარათ გავიარეთ. სატახტო  
ქალაგში სანთლებით შეველით. ახალგაზდა ს ჭუ-  
დენტი ჩვეულებრივი ღიმილით შეგვედა., მოხსე-  
ნება დაიწყო:

— ქალაქში სიწყნარეა, თქვენო უდიდებულე-  
სობაგ დღეს სამოცდა ჩიღმეტი ლოთი დაიგირ-  
ეთ. რამდენიმე ვედროა არაყი დავლეარეთ. ორმოცდა  
ერთი ჩხუბი იყო. არიან თავ გატეხელები. დრო  
გამოშემით ლოთების მანიუსტაციაა. სიწყნარე  
და წესრიგი საუცხოვოა. ნაბოქაულარი ცისქარო-  
ვი გაგევება. დაჯილდოვებული იქნა ახალგაზდა  
სტუდენტი „გიორგესკი“ „კრესტით“.

ალექსანდრე აბაზაძეს ქალების კრება გაემართა,  
ორმოცდამდე დედაბრები შეეყარა და აგიტაცია  
უწევდა:

— თუ ჩემს პარტიაში ჩაწერებით, თითო  
შეისლ გავითავისულებ, მიცწერ მეფე ნიკოლოზ  
და შეიწყალებსო.

კრებაზე მოულოდნელათ შეველით, აბაზაძე  
შეკრთა, ჩეარა გონს მოედა და ფანჯარიდან ქ-  
ქცევა ადაპირა. სტაცეს ხელი და ჩვენება ჩამი-  
რთვეს. ვბრძანე: გადაწერილი იქნას იგი „მეფე  
ნიკოლოზის“ პარტიაში...

შენიშვნე ლუქენბერგან-დუქენგბზე გახტოდ-გ-  
მოხტოდა, მაღალი ჩიხხასანი, თვალების ჭანჭურია  
ჩვენსკენ იქცირებოდა, ლაშერმა ჩემია ისმინ  
ბრძანება ჩემი და წარმომიდგინა აგიონმი.

- ვინა ხარ შენა?
- მე ერთ დედაკაცსა ვცემე, —შომიგო შან.
- რას გეძახიან?
- ღროშის დახევა მოვიწალინე, მარა ვერ აფასრულე.
- სად ცხოვრობ?
- აქ დიქტატურა გამოაცხადეს.
- გიუ ხომ არა ხარ?
- კეტები და ხანჯლები ამართეს...
- თავი კარგია არ გამია?
- ხანჯალი მქონდა ვერცხლის იგიც წამართვეს, იაფილის გეახელ და გადამასახლეს...
- გვარს გვეკთხები?
- კოოპერატივში ანგარიშები გადამირიეს, როცა ჩვენში გამოჩნდა უცხო პირები, სულ მთელი ხალხი გადავგირიეს...
- რას შეიდომოები?
- მიწების ყიდვა მე განვიძრახე, მაგრამ ჰოლოს ზედ წამალახეს...
- გვარი მითხარი, გვარი!..
- უთავმოლო მიხა ძეგვიაურს შეძახიან.
- ვგრძანე: გაგზავნილ იქნას საგიუვნი.
- სასურათო კომიტეტში „შეშოკი“ ფქვილებს ითვლიდენ. ჩვენ შესვლისას ყველანი შეშინდნენ, სიმონ წიკლაურმა საჩქაროთ მიპახუა:
- ორმოცი ფუთი კარაქის კონფისკაცია მოვახდინეთ.
- ყველი და ერბო აუარებელიაო, —დააყოლა ბუღდანამ.
- აწერილ იქნა კომიტეტის ვინაობა. კაჩიროვ-სკიმ მოხსენაბა გამიკეთა:
- 24 სათში მქელელობაც ხდება, ოქმის შედგენაც, გამოძიებაც, გასამართლებაც და საკარტოლო სასჯელის მოხდაც. ვეღარ მოვითმინე, დალო ეშმაკი და უურგები აკურწი.
- შატილიდან თოთურ-თოთია ქინკარაული გაშომეცხადა. მოხსენება გამიკეთა: ბარისოხოდან ფოგოთურ-გოგოთურმა: შევითხეა დამიკუნა: —შალვას ჭარტიიდან ხომ არ ბრძანდებითომ თოთუები მომოთხვეს... გავეცი ბრძანება შეიარაღებულ იქნას სევსურნი და დაჩქარებით აკურთხონ მცხოვრილი გამოვარდა და გადამიძიება. ბარანა გადაკრული შემეცხადა. ჩვეულებრივ მხიარულიათ შემომხახა: —დაიახ!! დაიახ, ეშმაკის მოციქულო, თქვენი გამომართობა არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი იყო. ჩვენს მისვლას ელოდნენ. მიახლოდებისას მეორე სართულიდან სიმღერა მოგვეცმა:

ბრძანება გავეცი ჩაწერილი იქნას ჩვენს რაზმში. მოხსენების შემდეგ „გუთნის“ პარტიაში გავემზადება ჩემი გვარდიით. სკოლის დარბაზში არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი იყო. ჩვენს მისვლას ელოდნენ. მიახლოდებისას მეორე სართულიდან სიმღერა მოგვეცმა:

„თიანეთს ჰყავს ერთი ქალა,  
სოფო ჰქვიან მას სახელი,  
მაღლა სკოლაში ბინადრობს,  
ლექტრომა მოუმართოს ხელი“...

სკოლის დარბაზში კრება იყო. ჩვენს მისვლას „ურას“ ძახილით შეეგებნენ. დიდი კამათის შემდეგ, რაყი გამოირკვა თანამდებობის მოციქულთა აჯანყება ნიკოლოზ II-ეს“ წინააღმდეგ, დამას საში სათათადნ დიქტატურა გამოვაცხადე... გამოცხადების შემდეგ ალქაჯთა ხორიშ დაიგუგუნა:

დიდო, ეშმაკო, დიდ თიანეთში,  
ბრძანების განაგრძოლობს თქვენი კრებული,  
და ამ ამიდან აწ-ლექტრომა იცას  
თუ ვინ გამოვა გამარჯვებული...

აბაზაძე ჩვენ ტყვეთა ჩავიღდეთ,  
იყლიტე, სოფო, მიხა ახმახი,  
მაშინ დაიტერდენ, როცა იგეშეს ჩვენი ქაჯების მწვავე მათრაძი...

ერთი მხრით სდგანან ბნელი ძალები,  
ძეგლი წესების მოციქულები,  
დიდ სახალხო მოძრაობისგან  
აწ გადაცვლილი დალუბულები...

მეორე მხრით სდგას ჩვენი ლაშეარი,  
მგბრძოლებულია — ალქაჯებისა,  
დაუნდობელი დიქტატორები  
აშრულებელი თქვენ ბრძანებისა...

სიძლერის შემდეგ ჩვენ გავემზავრეთ სასახლე-ში, იქ ქეიფის შემდეგ ფედერალისტთა და ერ.-დე-მოკრატთა შორის სისხლის ლვრა მოხდა მიწის გარიგების შესახებ.

პირველა დღების ამზებმა ახე ჩაირა. დიქტატურის შემდეგ შიშანობაა. ქალაქი დაკეტილია. კრებები ალკალულია. გზებზე მიმისვლა შეწყვეტილია. ვაჭრები გარდაინ. ბევრ დაგილის სტიქტური აჯანყებაა. ჩემიდის ქალმა რევოლუციონურ გზით დაიტაცა იოსების მიწები. დაიწყო ხუცების ლოთობა.

ზომები მიღებულია... დაწვრილებით შემდეგ.  
თქვენი ალქაჯი.

## მეგობრის ნაამბობი

უპატერი ქვექანას  
კოდი გიზა ჰარშალანც.  
შეგრული ანდაზა.

(ძღვნად ჩემს ყოფილ და მომავალ დიასახლისებს  
და აგრეთვე საჩერაოდ გამომცხვარ საზოგადო  
მოღვაწეებს).

1

### როგორ შეგიძლი იმ უზრუნალებისი

— კაცო ერთი ცახე ქაღალდიც რომ აღარსად  
არის გაერული!.. ერთი ოთახიც რომ აღარსად იშ-  
ოვება!—ვიმეორებდი სასოწარკვეთილი და დილიდან  
ხეტალით მოქანული, ღონე მიხლილი ებრუნდე-  
ბოდი საღამოზე ერთი ამხანაგის ბინაში, რომელსაც  
შევაფარე თავი მას შემდეგ, რაც დიასახლისმა გამის-  
ტუმრა...

— იშოვე?—მკითხა შესვლის უმაღ ამხანაგშა,  
რომელსაც ფეხები ერთმანეთზე დაწყო და თამბა-  
ქოს აბოლებდა.

— გაგიგონია?. . მთელი ქაღაქი შემოვარე  
ტყილად!—უპასუხე ძლიერ და სასომიხდილი გავ-  
გორდი ლოგინზე.

— მერე ქაღაქში რას ეძებდი! — დაიწყო იმან  
ისეთ კილოზე, თითქო მისთვის გადაუტრელი საყით-  
ხები არც კი არსებობენთ—ქაღაქი კი არა ბინები  
უნდა შემოგევლო... ოთახი ვაშლი როდია, რომ  
ქუჩაში ჰპოვო გასაყიდად... ის ბინებში იძოვება და  
არა ქუჩებში... ბინის პატრიონები კყელებან დიასახ-  
ლისგან არიან... დიასახლისს თუ მოეწონე, ოთახიც  
უზრუნველყოფილია... ამიტომ ბინები უნდა შემო-  
იარო... შემოიარო უნდა დიასახლისები... ერთს თუ  
არ მოეწონე, მეორეს მოეწონები, მეორეს თუ არ  
მოეწონე, მესამეს მოეწონები... ამრიგად ოთახიც  
გაჩნდება, კიდევაც რომ არ იყოს საჭირო მისი გა-  
ქირავება... შენ კი ამის მაგივრად დადიხარ ქუჩებში...

მე ხელი ჩავიქნი უშემდოდ. მე ძალიან კარ-  
გად ვიცი, რომ დიასახლის ისე იღვილად არ მო-  
ვეწონები. დიასახლისი ისეთი ცხოველია, რომ მას  
კაცი არ მოეწონება. შემიძლია დავიფიცო, რომ  
არასოდეს არ მოეწონებივარ დიასახლისებს. მაგრამ

რას ეტყვი ისეთ კაცს, რომელსაც არაფერი გაეფეხა  
ამ საგანში?

მე დავდუმდი ძალმილებული და შეუმჩნევლად  
გაცურადი ჩვეულ უცნებებში. შეუმჩნევლად გაქ-  
რა გაფითრებული დღე და ოთახის ბნელი კუთხე-  
ბიდან გაძინებულენ ნაცნობი ლანდები. აგრე ერთი,  
წყრომის ღმერთითით განრისხებული, აგრე მეორე,  
შესამე. ჲა მთელი რიგი, საშინელი რიგი ზოგი და-  
ნით არის შეიარაღებული, ზოგი ჯოხით. მთელი  
როტა მიახლოვდება, მემუქრება და ეგ არის ჩამ-  
ქოლოს. მეშინია, ვკანალებ... ობ!..

— დაგწყევლის ღმერთმა ულმეროობავ! — მი-  
ვაძახ რაც ძალი და ღონე მქონდა და ის იყო გა-  
მომელვიძა საშინელ ტანჯვაში. უკვე დილა იყო.

— რა დაგემართა კაცო? — შემეკითხა ცხარედ  
გაფითრებული ამხანაგი, რომელსაც გამოლვიძებოდა  
ჩემს ღალადისზე.

— ეს ამხანაგო, შენ რომ იკოდე რა დამე-  
სიხმა... ჩემი ყოფილი დიასახლისები შეყრილიყ-  
ვნენ და ჩაქოლვას მიპირებდნენ.

— შენ, ჩემი ძმით, ყოველ სისულელესაგან  
ტრაგედიას ნუ აკეთებ!

— სისულელე რომელია, როცა მთელი რო-  
ტა დიასახლისებისა... იტრიშით მოდის!..

— ბიჭი შენი დიასახლისები ერთი როტაა და  
თბილისი დიასახლისები რომ შეპყარო ერთი პოლ-  
კიც შესღება... .

— ღმერთო ჩემო! საღ დავიმალო... .

— და თუ როტაში არავის მოეწონე, ნუ თუ  
ეს იმას ნიშნავს, თითქო პოლკშიც არავინ გაჩნდე-  
ბა ისეთი, რომ მოგიწონოს?

ის კიდევ არ იშლის თავისას!

— გამომყევ აბა! — სთქა მან გადაჭრით, რო-  
ცა ჩაიცვით, და გაემართა კარებისკენ.

რას ვიზამდი მფრომარეობა მართლა რომ ტრა-  
ლიყული იყო იმ დღეებში ამხანაგი თავის ცოლს  
მოელოდებოდა სოფლიდან და ჩემი გაჩერება შათ  
ერთად ერთ ოთახში შეუძლებელზე შეუძლებელი  
ხდებოდა. სასტუმროებში ბინა არ იყო, არც საი-  
მისო ჯიბე გამაჩნდა. მეტი რა ვზა იყო, უნდა მო-  
მექნიანია ბინა.

გავყვა ძალაუნებურად და შეუდექით ბინიდან  
ბინაში სიარულს, გაჩაღდა მოლაპარაკება დიასა-  
ხლისებთან; გაჩაღდა და მიღიოდა რიგიანალ, სანა-

ჩემს ამხანაგს არ გაუწინდა რაღაც საქმე. შას ჭემდევ კი, ერთ ხანს, სულ უწინეო მდგომარეობაში ვიგრძენ თავი, მაგრამ უკან დახევა საიმედოს ვერაფერს მიაკრინახებდა. უნდა ისევ გამეგრძელებინა ეს არა-სასიამოგნო მგზვრობა და გაუდევ კიდევაც. მართალია ყოველ ნაბიჯზე თან და თან უფრო მეტარგებოდა იმედი, მაგრამ ვერძნობდი, რომ საჭირო იყო დაშმეტკუცებინა ამხანაგისთვის მაინც ჩემი თავ-გამოიდებული საქმიანობა. ამიტომაც გადავწყვიტე შემომევლო არა მარტო კერძო ბანები, არამედ: დუქნები, მაღაზიები, სახელოსნოები, სარდაფები, სახელშიფო თუ სახოგადო დაწესებულებანი, და ყველაფერი, ერთი სიტყვით, საღაც კი შეისვლებოდა, „ყოველგან ხალხია, ყველას ბინა აქვს და ვინიცობა“, ვეფიქრობდი და ვიღოდი არა მარტო ბინიდან ბინაში, როგორც მირჩა ამხანაგმა, არამედ კარიდნ კარში, ამ სიტყვის სრული შინიშვნელობით. ასეთი ჩემი თავგანწირებულების წყალობით, ვეწვიე სხვათა შორის, ერთს—კერძო ბინა იყო თუ სახოზოგადო დაწესებულება—მეტათ არაჩემეულებრივ ალაგს. კერძო ბინა ის არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც არავითარი შინაური მორთულობა არ სჩანდა. ორი-სამი საწერი მაგიდა და სამიოდე კოხტად ჩატაშული ყმაშვილი კაცი, ნათლად მტკიცებულენენ, რომ ეს უთუთოდ რომელიმე დაწესებულება იყო, მაგრამ ასეთი მოსაზრებაც საეჭვო ხდებოდა. აბა რომელ დაწესებულებაში შეგვედებინ აღტაცებით, უკრამნი კი არა, ნაცნობ-მეგობრებიც კი, რომელ დაწესებულებაში მოგმართავენ ასე გულიანად:

— მე თქვენ კარგა ხანია მოგველოდითო— როგორც მომეგება ხოლმე ერთი ქოჩრიანი ვაჟბატონი, თავზეხელადებულის გამომეტყველებით, რომელიც იჯდა ერთს უფრო ლაპაზად მორთულ მაგიდასთან და, როგორც სჩანდა; ბატონიბდა ან დაწესებულებაში.

ამიტომ ვსოქვი, რომ არაჩემეულებრივ ალაგს ვეწვიე მეთქი!

მე ისე გამაკვირვა ქოჩრიანი ვაჟბატონის აღტაცებამ, რომ კიდევაც გადამივიწყდა მომეტინა სპრაცეები ოთახის შესახებ.

აშკარა იყო, რომ „შევეშალე“, მაგრამ ჭარბი დაღუშება: ვინიცობაა, ევგბ ასეთში შეხვედრამ მამოვნიოს ოთახი მეთქი. ეხლა სწორედ არ ვიცი

საიდან დამებადა ეს იშედი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „წყალწილებული ფინჩხს ეკიდებაო“.

— თქვენ არ ისამთ სიკეოეს და არ გაგვიწევთ თანამშრომლობას?

მე ვერაფერი გავიგვ, მაგრამ წინდაწინ გადაწყვეტილი მეონდა ყველაფერში დაეთანხმებოდი.

— თქვენ უეჭველად შეგიძლიან—გადასწყვიტა იმან სამოლოოდ—ოქვენ სწორედ ლიტერატორის სახე გაქვთ!

— საგუეთში ხომ არ მოვსულვარ—გამიერლა თავში, მაგრამ ისევ დავადექ წინანდელ გადაწყვეტილებას. მასთან, რაც უნდა იყოს, უსარგებლობასოდეს არ არის კაცის მოსმენა.

— წარმოიდგინეთ—განაგრძნობდა თავზე ხელ-აღებული—რიგინი თანამშრომლებით მყრად ლარი-ბი ვართ და რომ გაგვიწევდეთ...

— ნუ მეუბნებით—ჩიიქნა იმან ხელი, როცა მიუთით ჩემს გამოუცდელობაზე—თქვენს სახეზე, მეგობარო, აშკარად კრთის ლიტერატურული მოწოდება...

ეხლა ვიცი, რომ ჩემი ფერმიხდილი სახის დალლილობა იმან ლიტერატურას მიაწერა. ლიტერატურა აქ არა შეუაში იყო. ღმერთი ჩემი! რათ არ ამოწყვიტე დასახლისები!!..

— თქვენი სახე საუკეთესო მოწყვეტი რეგობარი— არ ისგვენებდა თავზეხელადებული— რომ თქვენ ლიტერატურულად მომზადებული ხართ... ჩენ სწორედ ასეთები გვეირია... მით უშერტეს, რომ თქვენ, როგორც ახალგაზრდა კაცი, უცულო ახალ მწერლობაში იქნებთ გამოწაფული ... .

— მე პირველი განყოფილებიდანე მშელდა, რასაც თქვენ ეძახით ლიტერატურას. „ბატებო საღყიფლხართ რა გინახავთ, ვანოს დედა არ განახავთ?—დიალ ვნახეთ, ვანოსათვის ყვაველებს ჰკრებდა“—ოჯახიც ისე აგიშენდება რამდენი დროც დედა ჩემსა აქვს ყვაველების საკრებად შეთქი და გადავაგდე წიგნი... მაშინაც არ უზრუდებოდი შეუსაბამობას... ან სად თქმულა და გაონდობა მეთქი ბატები ლაპაზაკი... უკანასკნელ ხანას ლეონიძის ლექტი წაიკითხე „საქართველოში“ .. და ვარდებს დაგიყენებ ნახ-ველბარადო“, ეუბნება სამშობლოს... სახელმწიფომიწი გამჭრაბობაც ასეო უნდა სწორედ... მოდი და დაწესებ მას!.. მოდი და გამოიწყე ამით!..

# პრაყ ვებლი

„ქართულმა საეკლესიო კრებაშ შე-  
მა ეკლესიის გარეშე საერო ტანი-



ქალაქის მღვდელი.

უწინ (ზემოთ)

და ახლა (ქვემოთ).

გურული მღვდელი.

უწინ და ახლა.

# სამართლებრივი

საძლებლათ სცნო, მღვდელ-  
საცმელი ატაროს”  
(გაზღუდილან).



დეკ. ნოზი.

ქართლელი მღვდელი.

უწინ და ახლა.

უწინ და ახლა.

— ნუ თუ თქვენ ასე „მწყრალათა“ ხართ  
მწყრალობასთან?

ცადი იყო რომ გადაგაჭარბე, მაგრამ რა არის  
აბა გამოუსწორებელი?

— მე მწყრალად ვარ ყოველ შეუსაბამოპას-  
თან, რომელიც სინამდვილეს ეწინაღმდევება—  
ესთქვი რისიანად და გავარტყი მაგილაზე მუჭი, რო-  
გორც შეშვენის მართლადაც გაქნილს და გამოკ-  
დილს კაცს.

— ჰო... მესმის. გამოდის თქვენ რეალისტი  
ბრძანდებით.

— მე იმ აზრისა ვარ, რომ მწყრალობას მხო-  
ლოდ სინამდვილესთან უნდა ჰქონდეს საქმე...

დავიდასტურე ისევ წინად თქმული, აღვლე-  
ბული ხმით.

— აი ეს არის რეალიზმი... ჩევნ სწორედ რეა-  
ლისტები გვეპირია... რიმანისტები ისე გამრავლ-  
დნენ რომ თავი მოგვაბეზრეს... და თქვენ სწორედ  
დიდ სამსახურს გაგვიწევთ, რომ მოინდომებდეთ და...

თქვენ უთუოდ მიხვდით, რომ არაჩევულბრი-  
ვი დაწესებულება, რომელშიც მე შევედი, შემთხვე-  
ვით, ოთახის „ესახებ „სპრაგების“ მოსახლენად—  
რედაქტია ყოვილა. ბინა იქ, რასაკვირველია, არ  
მიშოვნა, მაგრამ რედაქტის მილეთი კი შევიძინე  
და ეს საიმედო გარანტია იყო იმისა, რომ ბილეთი  
დაწერილიყო ისეთი რედაქტის ბლანქზე, რომე-  
ლიც ბევრს რამე სამედინო ეუბნება რევოლუციით  
დამტკრთხალ სახლის პატრიონებს. მე შემდეგ დავრ-  
წმუნდი, რომ ასეთ ბილეთებს დისახლისთა შორის,  
განსაკუთრებით ქალაქის შეუა ნაწილში, უფრო მე-  
ტი გასავალი ჰქონია, ვიდრე მოციალე პაგონებს  
ძველი რეჟიმის დროს.

2

## როგორ შევიქმნო პოლარიზაციანი

ეს მოხდა იმავე საღამოს. მოხდა სულ უბრა-  
ლოდ.

— შენ კოოპერატორებია არ გინდა? — მომ-  
მართა ერთმა ამხანაგმა გოლოვინის პროსპექტე  
ხეტიალის დროს.

— მე ესლა შურნალისტი ვარ და მედუქნდ  
აბა როგორ შემიძლია გავხდე—უბასუხე სერიოზუ-  
ლად.

შე გაგონილი მქონდა, რომ სოფლებში კო-

ოპერატიულ დუქნებს აწყობდნენ. დუქნები ყოველ-  
თვის მეჯავრებოდა, მეჯავრებოდა მედუქნებიც.  
ამიტომ მეჯავრებოდა კოოპერაცია, რომელსაც...  
სიმართლეს ვიტყვი!— მედუქნებისაგან არ კი ვარ-  
ჩევდი.

— მერე ურნალისტები განა ცოტა არიან  
კოოპერატორები?

— ისინი ილბად ბურუუზიერებია.

— ბიჭი! რა სთქვი!

— ისა ესთქვი, რომ მედუქნეობას მხოლოდ  
ბურუუზიელები ეწევიან მეთქი.

— რაღა მედუქნეობა დაჩემე კაცა! მე კო-  
ოპერაციაზე გეუბნები და არა მედუქნეობაზე.

— კოოპერაცია განა იგივე მედუქნეობა არ  
არის?

— შენ ამის მეტი აზ გესმის კოოპერაციაში?

— აბა ძალიან კი მესაქიროება რომ მეშილდეს?

— შე სულელი ოც და ათ თუმანს მოგცე-  
მენ თვეში!

ამან ცოტა აზ იყოს ჩამაფიქრა: ოც და ათი  
თუმანი სუმრობა როდია.

— რას იტყვით?

— მოვიფიქრებ.

— ბიჭი რა მოვიყრება გინდა! ყველა თუ  
ვარგა შენ „ბუში“ ხომ არა ხარ?

მართლა, ყველა თუ ვარგა, მე ვითომ ბიჭი  
არა ვარ თუ!!

თარაში.

## „მომავის მათრაზი“

ხელის მომავალების საჭრადლებოთ.

ქაღალდის და ყოველგვარი საბეჭდავი მასა-  
ლის უზომოთ გაძვირების გამო, ურნალის  
ფასი წლიურათ 7 მან. მაგივრ არის 12 მან.  
ამიტომ გამომცემლობა სთხოვს ხელის მომ-  
წერლებს, გამოვზავნონ ზედმეტი ნ მანეთი.  
წინააღიდეგ შემთხვევაში მომავალ ნომრიდან

შერნალი აღარ გაეგზავნებათ.

კრისტიან განაცილება

# ქართული პატიონის

## შედეგი ჭირობის.

სცენა I მოქმედებად.

მომენტები 30 რი:

სიმღერა და ვითიხი ს. დ. საარჩევნო კომისიის თავ-  
მჯდომარევ.

გიორგი ს. დ.

შოთა ქარევენი ს. რ.

დავ. ქარევენი ს. ფ.

იდ. ქარევენი ს. დ.

სამსახური ს. ფ.

ეკეუე ს. დ.

ისიდორე ს. დ.

სამსახური ს. დ.

გრიგორი ს. დ.

შავრი ს. ფ.

ნერა ს. ფ.

რევენ ს. ფ.

საარჩევნო კომისიის წევრები.

მდივანი.

გარეშე დამსტრენი.

(დილა. გაუთ უმედლეს პირველ დაწესებით სასაწყლებელში შეგრებაზე არიან საარჩევნო კომისიის წევრნი და სხვა მრავალი დამსტრე საზოგადოება. დიდ მაგიდაზე სდგას საარჩევნო კუთი დალგეჭული, რომელსაც შესცემას პარტიის წრმომადგენლაჟები და ელაინ კომისარის. გამოწვება კომისარიც და შეუძღვიან უფასო გასხვას).

ილ. ქარევენი ს. დ. მოქალაქენო უმორჩალესად გთხოვთ დროებით შეაჩეროთ უფასო გასხვა და ნება მომცეთ მე ცოდვილს ორიოდე სიტყვით შევვევდრო უფასოს.

გიორგი ს. დ. ლოცვა თუ გსურთ მიბრძნდით მონასტრებში და იქ ილოცეთ. ჩეენ აქ საქმისათვის მოესულვართ და არა სალოცავად.

ილ. ქარევენი (ყველას ეხვეწება). უმორჩილესად გთხოვთ ამისრულოთ ეს ერთი თხოვნა. პაულესტა ნუ დამტოვებთ გულნაკულულს.

კუჭლანი. მივსცეთ ნება, მივსცეთ,

სიმღერა (ზარს არაწყუნებს). მოქალაქენო! კენჭის თვლის დროს სიჩემეა საჭირო.

კუჭლანი. სიმღერა დავითის მიესცეთ ნება, მიესცეთ.

გიორგი (გაჯავრებული). ჩა პროთესტიო. (თავ-მჯდომარე კენჭის უყრის წინადადებას და ხმის უმრავლესობით ნებას აძლევენ ილ. ქარევენს ილოცოს. საჩუმეა).

ილ. ქარევენი (დაიჩოქებს ყუთის წინაშე და ხელებ აპყრობილი). მღერთო ძლიერო და ყოვლის შემძლებელო! ყოვლად წმინდაო მიტროსოლიტო მცხეთისო, უუწმინდესო კათალიკოსო საქართველოსის, არხიმანდრიტო, დეკანზენო, ბლალობინნო, მღვდელნო, მთავარნო, დაიკონნო, ბერნო, მონაზონნო და ერთად თეთრნო და შავნო სამღედლელებავ. გამოაჩინეთ ძალნი და სიტმინდენი სევენნი და ყველა იმ დალუქეულ იაშჩიკში ჩაყრილი ბილიუტენბი მეოთხე ნომრებად გალაქციეთ. (შაყურებლებში დიდი ჩოხეოლია).

გრიგორი ს. დ. არ შეიძლება! თავმჯდომარევ ჩიმწერეთ.

სტები: გაწერეთ, გააჩერეთ!

ილ. ქარევენი. მოქალაქენო, გთხოვთ ნუ შემიულით.

სტები: არ შეიძლება, შეიძლება! (დიდი ჩოხეოლის შემდევ ილ. ქარევენი განაგრძობს).

ილ. ქარევენი. ყოვლად წმინდაო ღვაის შშობელო და აღექსანდრ ივანიჩის მაღლო და ძალო, ბარ. პაპავას მუშათ-მოყვარეობავ, მარკოზ ფხალაძის არშინო და ილარიონ კოხრეიძის მაზუტის კატიოლის მაღლო და ძლიერებავ, ზენ ლანაბავე ჩემს ცოდვილ თვალებს და გააგონე ჩემ უდირს, ჩენ გაზე საქართვ..“ უკაცრავად ცერკვის ვეღომოსტში ყოფილიყოს დეპეშა. ჭიათურიდან, რომ ჩენ ოც ხმოსანში გვრგებოდეს 19 აღილი. ლერთო უურად ილე ვეღორება ჩემი, გამოაჩინე ძალნი შენი და ნუ მოაკლე საწყილ ჭიათურას მარკოზ ფხალაძის თავიბას და ანგიალევას საბჯოს თავმჯდომარეობას.

გიორგი (ძალიან გაჯავრებული). ეთ ნამცირებელ! ჩამარცირებელ! ჩამარცირებელ! ჩამარცირებელ! ჩამარცირებელ! ჩამარცირებელ! ჩამარცირებელ!

სიძორუე. სამსინი. მართალია, მართალი!

გრიგორი. სიმღერა.

სიმღერა (ზარს არაწყუნია). მოქალაქენო, არ ჩეენების დროს სიჩემეა საჭირო.

შოთა ქარევენი (ილ. ქარევენი). ფაქირი გამოიწერე და ის გალაგიცეს ბილიუტენბი მეოთხე ნომრად. სიმღერა, არჩევნების დროს სიჩემეა საჭირო. საქმეს შევუდგეთ, თორემ ჩეენ დღეს მრავალი საფლელი და საწერი საქმე გვაქვს.

დავ. უდენტი ს. ფ. (სიმონს). ეგ არაფერია, ერთ მინუტში გადავბეჭდავ რემენქტონზე. ბ. თავ-მჯდომარევი მეც მომეცი ნება ჩემი ღმერთი ვა-ხსენო.

ხმები: არ შეიძლება, არა! (სიმონი ზარს უკრავს, დიდი ჩირქოლია).

გიორგი. Я зналъ что всѣ захотятъ и по-тому былъ противъ. Теперь ужъ Вы должны позволить и ему. (კენჭის ყრით ხმას აძლევენ დავ. უდენტისაც).

დავ. უდენტი ს. ფ. ღმერთო ძლიერო, ნუ მო-გვიძლებ, ჩევნ არა ვართ ურიგო პარტია. ვფი-ცავჩენ ნიკოს ოსტაროპონსტომბას, პარმენის ტუზ-ვალეტს, შაქროს ორატორობას, რებეკას რენეგა-ტობას, ნიკა ფხალაძის სოციალისტობას, სოსანას დამსკი კავალრობას, რომ ჩევნ ისინი აღარა ვართ, რაც წინათ ვიყავთ. ყველა თავად-ზნაურთა ჯგუ-ფი და ყველა რევმატიზმით ბებერი პრაპორჩიკები ჩამოგვცილდნენ და ამ ჩემი სახლიკაცის პარტიაში გადავიდენ. (ნაც. დემოკ. აჩვენებს) დღეს ჩევნ წმინდა სოციალისტები და გლეხობის მოსარჩლევი ვართ. ღმერთო ძლიერო, შეისმინე ჩემი ვერდება, აღმოაჩინე ამ გრძელეულ ყუთში ხუთი ხმა მაინც; რათა ჩევნი ნუციკო თვათმართველობის გარე არ დაგვრჩეს და მით ემანსიპაციაც დაცულ იქმნეს, და დანარჩნი ხმები სხვებშა მიიღონ, ოღონდ ეს ჩევნი ნუცა...

ხმები: დავოლნა, დავოლნა, თასი საწერი გვაქვს.

დავ. უდენტი. ბატონო, მინუთში გადავბეჭდავ რემენგტონზე...

ხმები: გააჩერეთ, გააჩერეთ!

სიმონი (ზარს არაწყუნებს). მოქალაქენო! ხმე-ბის დათვლის დროს სიჩუმეა საჭირო. (დავ. უდენტი) გეყოფათ, გაათავეთ.

დავ. უდენტი (დგება მუხლის თავების ბერ-ტყით) ღმერთო ძლიერო! შაქროს, ნუცას, მიანი-მე ხმოსნობა. მათ სიტყვებს მინუთში გადავბეჭდავ რემენგტონზე. (დგება).

სიმონი (პოლიევეტის). ახლა თქვენი რიგია ლოცვის.

ხმლივეჭრი ს. რ. მე ვლოცულობ. თუ აქვს ქვეყანაზე რამეს ძალა, ჩევნი კანლიდატთა სიის შერვე ნომრის სიწმინდეს გვეყოფა. (ჯდება).

სიმონი. მაშ შეეცდეთ ყუთის გასხნას.

უვეჭანი: შეცდეთ! (კომისია, კომისარის თა-ნადასტრებით ხსნის ყუთს. რა გაიღება. ყუთი, თვა-ლები გაუბრტყენდება ყველას).

ალ. უდენტი (სიხარულით). „ბზინკ არა, ჩხინკ!“

დავ. უდენტი. { ჩხინკ, ჩხინკ!

გიორგი. Господа, мы послѣ подсчета ска-жемъ бзинкъ или чхинкъ.

გრიგორი. მართალია, მართალი!

სიმონი. Ну, господа, приступимъ къ дѣлу, топрѣმ ათასი საქმე გვაქვს, სათვლელი და საწერი.

დავ. უდენტი. ბატონო, მინუთში გადავბეჭდავ რემენგტონზე, ოღონდ ჩევნი შაქრო და ნუცა არ დამიტოო ვარეთ.

სიმონი. ბატონებო სიჩუმეა საჭირო. (სოსანას) სოსან, გაუქერი თავები კონვერტებს და ამოიღე ბიულეტენები.

სისანა. კი ბატონო, ოღონდ სულ ტრეტი ნო-მრები ამოვიღეს და გინდა ფურგუნის დიშლაში შევებმები.

შაქრო . { ბრავო, სოსანა, ბრავო!  
რებება.

(სოსანა უქრის კონვერტებს თავებს და იღებს ბიულეტენებს. პირველ კონვერტში ოღონჩდება მესამე ნომერი. სოსანა სიხარულით იყვირებს).

სისან (შაქროს). შაქრო! ჩევნა, ჩევნა!

ილ. უდენტი. ნუ გიხარიან, ნუ! ებრაელმა სთქაა: „ღმერთო პირველათ ჩემი შვილი დაამარცხეო“. ბოლოს გაიგონე თუ ბიჭი ხარ.

სიმონი. ბატონებო, სიჩუმეა საჭირო.

შოლივეჭრი. სოსანა მუდაშ იღრიშება. მაგის სიცილს ბაჟი არა აქვს.

გიორგი. Я протестую противъ такої анархіи.

სიმონი. მოქალაქენო, სიჩუმეა საჭირო. (სო-სანა თავებს უქრის კონვერტებს და უყრის წინ სიმონს, სიმონი ბიულეტენებს იღებს და ხმა მაღლა იძახის).

სიმონი. პირველი, პირველი, პირველი პირ-

ველი...  
ილ. უდენტი (აწყვეტინებს). А можетъ быть четвертый, нѣтъ?

აღ. ჟღენტი (აწყვეტინებს). Или третий может быть!

სიმხი. არა, ბატონებო, არა.

შოდიევქტი. Въ самомъ дѣлѣ, а можетъ быть втoрой?

სიმხი. ბატონებო, თქვენ მიშლით მე. მე ამოვიკითხავ ნომრებს, დავსცდე მაგილზე და ვისი ნომერიც იყოს, იმ პარტიის წარმომადგენელმა დაიწყოს წინ და შეძლებ ცალცალკე დავთვალოთ.

ჟველი: Правильно, правильно! присоединяйтесь.

სიმხი (განაგრძობს). მეოთხე, პირველი, პირველი, პირველი, მეორე, პირველი, პირველი, პირველი...

დაგ. ჟღენტი (აწყვეტინებს). კაცო, სულ პირველი ის ოხრი ჩემი ჩადგმული ტრეტი ნომერი მაინც სად დაკარგა!! ვით ეს ბოგი!

სიმხი (განაგრძობს). მესამე...

ჟველანი (ტაშით). ბრავა, ბრავა! მოგვილოცავს დავით, მოგვილოცავს! (სიმხი განაგრძობს, დადა უმრავლესობა პირველი ნომერი ამოდის. სოციალ-დემოკრატი ცერც კი ასწერს ბიულეტენების აკრეფას, სხვა პარტიების წარმომადგენლები სხედნ გულ-ხელ დაკრეფილი და შესკერიან. ხან და ხან გამოდის მათი ნომრებიც და ზანტათ იწყობენ წინ).

შოდიევქტი (გადასხედავს ნაც. დომიკ. ბიულეტენებს). რავა საქმე?

ეჭვევი (ოხუნჯობს). Пока ничего, жერჯერობით პაპავას თავი გასული და ფეხების რა მოგასხვნოთ. (საერთო სიცილი).

სიმხი. ბატონებო, სიჩუმეა საჭირო, სიჩუმე. (იღებს ნომრებს) პირველი, მესამე, პირველი, პირველი...

რებეკა (ნუცას). ნუცა, ნუცა, უყურე ჩენ დავითს რავა ბლომათ უწყვია წინ. ეტყობა გვარინად მიდის ჩენი მესამე ნომრის საქმე.

ნუცა. Какой чертъ, ჩენი ბიულეტენები სქულია და მიტომ გერვენება ასტე. (შექრო პირ დაფენილი მისხერებია სოციალ-დემოკრატების ბიულეტენებს და ოვლები ეტყობება).

რებეკა (მაქროს). ბიჭო, უნ მეოთხე ნომერი ხარ ჩენ სიში, არა?

ჟარტ. მეოთხე ვარ, მარა რა ყრია!

რებეკა. რამ წაგახდინა, ბიჭო! ოთხი კი არა ხუთიც გავალთ, ნიჩელო. ვერა პეტედავ დავითს რამ სისხოთ უწყვია წინ ბიულეტენები.

ჟარტ. ნერა ნიკო გავიდოდეს და ჯანაბას ჩემი თავი.

სიმხი. ბატონებო სიჩუმე, გთხოვთ.

რებეკა. ბატონო, ჩენ გაჭირებული აღარ გვალაპარაკებ!

სიმხი. აქ სიჩუმეა საჭირო.

ჟარტ. ბატონო, კარანდაში შემაცივდა ხელში, სულ ხუთი ხმა არ აღმინიშნავს და აღარც მალაპარაკებთ!

გრძელდი. } ხა, ხა, ხა, ხა! ჩენი ნომრები წესისხი. } ჩენ, ბიჭო, ჩენი და აღარ შეგაისიდორე. } ცოვდება კარანდაში.

სითხი. Господа, тутъ видно страсти разгораются и я призываю васъ къ порядку. (განაგრძობენ თვლას. დიდი უმრავლესობა პირველი ნომერი ამოდის, სხვა პარტიების წარმომადგენლებს ყიდველი ფერი ელევათ. სოციალ-დემოკრატები ბრწინავენ). ამნაირათ, ბატონებო, საერთო ხმების ჯმი ირის 1256. ამათში სამი გასერილ-დაჩხაპილია, რაც არ ჩაითვლება კაიონიერად. ერთი კონვენტი ცარიელია, ხოლო ერთ კონვენტში არი ხმა დევს.

შოდიევქტი. ეგ ალბათ ვინმე განუყრელმა ცოლმარმა ჩადო ერთად, რაღაც ხმის მიცემაშიაც არ უნდათ დაშორება. Вотъ счастливая пара!

სიმხი (ზარს არაუკუნებს). პოლიექტი, სიჩუმეა საჭირო. (განაგრძობს) ამნაირად, ბატონებო, თუ იმ ხუთ ხმას არ მივიღებთ შედველობაში, საგრძოო ჯამი ხმებისა იქნება 1251.

დაგ. ჟღენტი (ოვალებს აცეცებს). მეოთხე ნომერი ხომ არ ურევია იმ ყუთში?

დაგ. ჟღენტი (წამოიქრება). ან იქნება მესამე იყოს?

სიმხი. არა, ბატონებო, პირველი და მეორე ნომერია.

დაგ. ჟღენტი. } მაშ გაბათილებულია, გაბათილა. } ლებული. }

შოდიევქტი. იფ, იფ, იფ... თქვენ რას ფეხი. რა გენალვლებათ?

წერა. } რა გამოსილია  
წერა.

გრიგორი. } არა და სრულია,  
ისიდორე. } არა და სრულია!

სიმონი. მოქალაქენო, გთხოვთ ნუ ერევით  
სააჩერევნო კომისიის კამპეტენციაში და აცალეთ  
საქმის დაბოლოვება. (კანტის ყრის შემდეგ ის ხუ-  
თი ხმა გამართოლებულათ ცხადდება, შემდეგ ითვლიან  
ყველა პარტიის ხმებს ცალკალკე. ცოტა-  
ხნის შემდეგ სიმონი აცადებს აჩერევნების შედეგს).  
ამნაირად, ბატონებია: სკოლალ-დემოკრატებს ეყო-  
ლებათ მომავალ ქალაქის თვითმართველობაში 14  
ხმოსანი, ესერებს — 2, ნაც. დემოკრატებს — 2,  
ს. ფულერალისტებსაც — 2.

წერა. აჲ! (იყიდებს და გულ-შეწუხული  
დაეცემა).

წერა. მიშვევით, ექიმი! (ყველანი წამოცვივ-  
დებიან, ექიმი მაჯავა უშინჯავს).

სიმონი. დაწყნარდით, ბატონები. მე, რო-  
გორც ექიმს მენდეთ, არა უშავს რა, ნერვები და-  
უწყნარდება და ყველაფური გაივლის.

შექმო (ლრობალით შივარდება). ვაძიქ თავით და-  
ლუპულო! რებეკა, რებეკა, რას შობი, რებიზა გვტიებ  
ობლიად მოელი ჩენი გვარი იმ უკუღმართ სოციალ-  
დემოკრატებს გაჰკვა, თვით მოელი ჩემი იჯახიც კა,  
მხოლოდ შენ იყავ ჩენი გვარის დამაშვერებელი  
და შენც გვღალატო, სირცეილი შენთვის!

წერა (ლუდღულით). არ ნუ გეშინიანთ, არ  
მოვკეთდები. სოციალ-დემოკრატების ჯინაზე უნდა  
ვიცოცხლო.

წერა. დაიწყნარ ნერვები, ჩემი რებეკა, ჩემი  
რენეგატო, გხლი გვჭირია შენი სიცოცხლე, რომ  
კიდევ მრავალი სოციალ-დემოკრატები გაარენეგა-  
ტო. აბა გაახილეთ თვალები. (რებეკა მოსულიერდება  
და დაგება. ფულერალისტები გრას ტევევიან და ულო-  
ცავენ მშეცილებით გადატეჩნას).

სიმონი. ბატონებო დამშვიდებით და დასხედით  
თქვენ აღილებზე. (ილ. შდენტი) აბა დაგვწეროთ  
ოქმი და მოვრჩეთ ამ აჩერევნების ხსოფილოს. (ილ.  
შდენტი, დავ. შდენტი და პოლიცეპტი გაჩუმებულ-  
ნი დაგანან. ბოლოს ილ. შდენტი არღვევს სიჩუმეს  
და ვაი-გუის კუპლეტებს მღერის. მას სხვებიც  
აჲყვებიან).

ილ. შდენტი 6. დ. რას აშბობ, ბატონო,  
რაღა მეოქმება,  
მარკოზა ფხალამე  
კაცო, გარეთ გვრჩება!  
ვაი, ვაი, ვაი!

პალიშეტი. სოციალისტოჯან,  
ტეატრიშე კოჭია\*),  
ნუ თუ შენ გაშავდი,  
რა ცოდვამ გიჭია!  
ვაი, ვაი, ვაი!

დავ. შდენტი. ნუ თუ ხმოსნად მხოლოდ  
გვყავდეს უნდა ორი,  
აფხუსია გარეთ,  
ზექრო ორატორი  
ვაი, ვაი, ვაი!

წერა და წერა. } დავიღუპეთ, გოგო,  
საღიკომ გვაჯობა  
უი მას, ვაი მას,  
ჭირი და გაერობა!  
ვაი, ვაი, ვაი!

სიმონი. დაიშალეთ აწი,  
რაც მოხდა, წავიდა,  
გაიგეთ ესდეკი  
თოთხმეტი გავიდა!  
ვაი, ვაი, ვაი!

დავ. შდენტი. } მე გველავს რომ ესდეკი,  
ილ. შდენტი. } ყველანი თოთხმეტამდე გაძერა,  
შოლიშეტი. } ერთად.

გოგია.

## წერილი რედაქციის მიმართ

პასუხად მდ. ჯავახიას\*\*)

ბ. ჯავახიავ! გაზეთ „საქართველოს“, ანუ უკეთ  
რომ ვსოდეთ, „საეკლესიო უწყების“ მე 178 ნო-  
მებრში მოთავსებულია ოქვენი წერილი ქ. ხალისე-  
ნავიდან, თავისუფალ ეკლესიის ქრისტიანულ კავ-  
ურის სახელით, სადაც ულრმეს გულისწყრობას  
მიუხადებთ, როგორც პიესა „ატოკეფალის“ ავ-  
ტორის, მიტომ რომ ვითომ მე აშ პიესით შეურაც-  
ყოფა მივაყენე სარწმუნოებას.

თქვენმა პროტესტმა, მართალი მოგახსენოთ,  
მე დადათ გამახარ. სიანს ჩემი შრომა ტუშილად  
არ დაკრძალულა და ბატარა პიესა, „ავტოკეფალია“  
სარკე გამზღვრა თქვენი, როგორც კავშირის თავ-

\* ) იგულისხმეთ ქსერების სიის მეტე ქანდიდატი.

\*\*) სამუშაოს დაბეჭდის დამატებით მდიდრ დაგ-  
ვინდა, სხვა და სხვა, რედაქციისათვის დამუშავდებედ შე-  
ზეზთა გამო.

მჯდომარის ამხანაგის და მრავალი კრებაზე დამტრე წევრთათვის. ოქვენ „ეტოკეფალიის“ გმირ „ზოსიმეში“, რომელიც ავაის ხესათან არშიყობაში, ქამა სმა გაძლიმოში და ჯიბის გასქელებაზე ლაპარაკში ატარებს დროს, დაგინახავთ თქვენი თავი, რაიც ჭეშმარიტად სასიმოქნია ჩემთვის. აქედან შეარა თუ ასზე გაწიწმატებულხართ ასე. რასაკვირეელია არ გვატნავებოდათ თქვენ იმ ფარული და ბეჭლი საქმეების გამომეტავენის, როგორსაც მრავალი წლების განმავლინაში იწარმოებდა სამღდლელობა და ისელაც დატებავებულ ხალხს თვალს უხვევდა. ის დრო წავიდ ბ. ჯავახიავ, როდესაც თქვენ ჰესახებ ძლინინ ცოტი შეიძლებოდათ თქმულიყო.

მე მიკვირს რამ აგაღლელდათ ასე რა არის იმ პირაში ისეთი, რამც თქვენი აღმუოთხა გამოიწვია ნუ თუ ტყუილია ის, რომ მღვდლების დიდა უზრავლესობა ხალხის გაგლეჯაზე და თავის ჯიბის გასქელებაზე ფერქობს? ნუ თუ ტყუილია ის, რომ მღვდლები ეკლესიის დაბალ მსახური, როგორიც არიან მედავითენი, იჯანიან, შემირად რაცეცეს აძლევნ, თავის ჯიბის იქელებენ და ამ ნიდაგზე დაუსრულებელ ჩხებს და ლილითოს-აქვს იდგილი მღვდლელა და მედავითენ შორის? ნუ თუ ტყუილია ის რომ მღვდლების დიდი უმრავლესობა, რომელნიც მედავითენ მდიდარ არიან გამოსულები „ავტოკეფალიას“ მხარს უქერენ იმ იმედით, რომ ეკლესია-სამინასტრო შემოსავალი ჩვენი იქნებათ და ამით ახალინად ფიცხოვრებოთ.

მე ამ პირაში მყავს გამოყვანილი მღვდელი, რომელიც ავტოკეფალიად ფედერალისტი იყო, მარა როცა გას მის მისწული, ნამდვილი წმინდა-წყლის ფედერალისტი უქნის რომ ეკლესია-სამინასტრო მიწები, როგორც უკველევ სკულპტორები პროგრესით, ისე ჩვენი პროგრამითაც ხლოხის საკუთრებათ უნდა გადაიქცესო, ის მღვდელს არ მოსწონს, იგდებს მიწულს ხასიათის და მედავითენისთან ერთად სხაოწირეკეთილებაში ვარდება.

ი მოელი სიუვეტა პიგენის! ერთი მითხარით სად არის აქ სახწმუნოების შეურაცყოფა?

როგორიც თქვენ სწერთ, შეიძლება მართლა ბაჟშებმა ითამაშეს პიგეა და როლის უკონარობით რაც მოადგათ პირზე ის წამოაყრინ ტალეს, მაგრამ განა ამაში ავტორია დამაზავევ?

მიკვირს ქეშმარიტად, რომ ქრისტეს ჯვრის მატარებელს გავიწყდებათ ქსრისტეს შეცება და თქვენ მოყვასს ასე აღმფოთებით გულის წყრომას და რისხებს უზავნით!

გატონო ჯავახიავ როდესაც საპროტესტო წერილისა სწერდით, რატომ არ შეიწუხეთ თავი და ერთი მაინც არ წაიკითხეთ ის თქვენგან ყბად აღვბული პიგეა „ავტოკეფალია“, რომ ნამდვილი წარმოდგენა გქონდათ პირაზე?

ან იქნება თქვენ იმას უძხით სარწმუნოების შეურაცყოფას, რომ ჩემი ბიქსის გმირი „ზოსიმე“ თავის ხასა ეუბნება: „შენ ისეთივე ცოლი ხარ ჩემი, როგორც მარიამი იოსებისათ“. განა ეს შეურაცყოფა არის სარწმუნოებისა? ეს შეურაცყოფაა ხალხის და თუ გნებავთ სარწმუნოებისაც, რადგან თქვენ მას ამაზიჯებთ და ხალხს ტყუილებითა ჰკვებათ.

თქვენ არ გინდათ მართლი უთხრათ ხალხს დღესაც კი, თავისუფალ ხანაში და კიდევ დიდასნს გინდათ ისაგებლოთ ხლოხის შეუენებელი ნაწილით, კიდევ დიდასნს გინდათ სვაგებივით ასედეთ ხალხს თავზე და სწიწნოთ, მაგრამ უკაცრავათ, გავიფრინდათ ის დრო, თქვენი ლილ უკვე გაზუნებულია.

ასე რათა სწირებით, ბატონო ჯავახიავ? მე განა თქვენივე სახარებით არა ვლაპორაკობ! განა თქვენ არ გიწერით სახარებაში ის, რომ იოსები მამა იყსოსთ, იოსები ქმარი მარიამისაო?

ნურას უკაცრავათ, მაგრამ ეს თქვენი პროტესტი სარგებლით დაიპრუნეთ უკან და ხალხის მოტყველებაზე კი ხელი აიღოთ, თორებ ის ხალხი, რომელსაც მრავალი წლობით წურბელისავით ეყიდებით, არ შეგარჩენთ თავის აბურათ აგდებას და სასტრიეთ გაეგინებოთ პასუხს, თუნდაც ქერქი გმორიცვალოთ და თავისუფალი ეკლესია „იარლიკათ“ მიიწეოთ.

„ავტოკეფალიის“ აფტორი გოგია.


### ამბ. რედაქტორი!

ამ ორი კეირის განმავლობაში ბ ნი „ისკანდერი ეშმაკის მათხახის“ ნომერში ორჯერ ეხებოდა ჩემს პიროვნებას. არ ვაცი რად ჩაუვარდა ამ კაცს ჩემი უნი. შეიძლება იმიტომ რომ, სამი თვის გამავლობაში, რაც შემიძლია დავამტკიცო, რაც შემძლო შეუსვენრად გმუშაობდი ხალხის საკონდლდელოთ და რაღან წინა ნომერში სრულიად დაუსახურებლად ვარ გალანძლული, როგორც სამაშ. კომიტეტის წევრი და მე პ წ ში კი კედება მხოლოდ კერძო ინტერესებზე აშენებულ წლიაბას. ვიწვევ ბ ნ „ისკანდერს“ სამედიატორო სამართლების მხრივ მედიატორებათ ვისახელებ ლადიმერ დათუნიშვილს და მიხევთ მგელიძეს. მობირდაპირებაც ესიხოვ წამოაყრინს თავისი შედიატორებ. სამედიატორო სასამართლოს რეზიდენციული საგსებით იქნება გამოქვეყნებული გაზევაში.

თუ ბ ნ „ისკანდერი“ ხუთი დღის განმავლობაში დღეიდან ამის გამოცხადებისა, არ წამოაყრინს თავისი შედიატორებს, უფლებას ვიტოვებ ჩემს თავზე ვუწოდო მას ცრუ კორესალდენტი.

გიორგი ჩხაიძე.

## სარკინის გზო ქარიყატურა.



პირველი შემთხვევაა ჩვენი უურნილის ისტორიაში ამგვარი კარიყატურის მოთავსება. მიიტომაც, თუ არ მცირე განმარტება, მყითხველი მას ვერც გაიგებს. მეტსაც ვიტყვი: ვერ გაიგებს არა თუ მჟითხველი, არამედ ვერც კახეთის რკინის გზის მართველობა, რომლისთვისაც უმთავრესად დანიშნულია სურათი.

სურათზე აღნიშნულია კახეთის რკინის გზის ნაკერი საღარეჯოსა და ბადიაურის შუა.

გზის ერთ მხარეზე დახატულია სოფლები, რომლებიც ამ ნაკერს გზისას დაწვდებინ: საგარეჯო, გომელი წმინდა, მარიამ ჯვარი, თოლლიაური, მანავი, ბურდიანი, ჩაილური და

საგარეჯო, გომელი წმინდა და მარიამ ჯვარი. საღარეჯო საგარეჯოს სწორება.

თოლლიაური, მანავი, ბურდიანი, ჩაილური და კაკაბეთი კი შუა ძლიერია არიან. კახეთის რკინის გზის გამგეებმა იმ სოფლებისათვის განიხილა ბაქანის აგება და ორიოდ წელიწადს არჩის იმისათვის შესაფერი ადგილი. ბოლოს მოიფიქრეს და ააგეს ბაქანი საგარეჯოდან თხი ეტასის მანძილზე. არჩევანი ამ ადგილისა იმით არის დასაბუთებული, რომ ერთხელ აქ მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. სხვა უპირატესობა, თუ ღირსება მას არავერ აქვს, თუ ანგარიში არ მივიღებთ იმ უმნიშვნელო ფაქტს, რომ იქან ხტებიან ბნი გიორგი გვეზავა და ჩვენა რელაქტორი პატივცემული ეშმაკი.

სოფ. მანავისა, ბურდიანისა, ჩაილურისა და კაკაბეთისათვის ეს ბაქანი იმდენათ არის გამოსაღები, როგორც ჭავიერისათვის.

\*) გაგებანებათ თქმულება „ჩამდების წედის“ შესახებ, რასაც ვერ აცდება ვერც ეს ქარიყატურა.